ბრძანება:№44. 4423087116
თარიღი:28/03/2023

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ ლოგოს დამზადებაზე კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცებისა და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ“ ქვეპუქტების საფუზველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ ლოგოს დამზადების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ ლოგოს დამზადების მიზნით წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დანართის შესაბამისად.

/დანართი ბრძანებას თან ერთვის/

3. კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - თამარ დახუნდარიძე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი - დავით ნიშნიანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის უფროსი - თინათინ ბერიშვილი;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - პეტრე ადამაძე;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი გიორგაძე;

ვ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების

უფროსი - ირაკლი ადეიშვილი;

ზ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების უფროსი - შორენა ხუხუა;

თ/. სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის უფროსი - რუსუდან ჩინჩალაძე;

ი/. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე - მირზა ხიდაშელი;

კ/. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბი"-ს (ს/კ: 405429969) დირექტორი ზვიადი არჩუაძე (პ/ნ: 01022002691).

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსი ჩატარდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3), ხოლო კონკურსში მონაწილეობის მსურველთა წინადადებების მიღება განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: contact@kutaisi.gov.ge არა უგვიანეს 2023 წლის 10 აპრილის 18:00 საათისა.

5. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ ლოგოს დამზადების მიზნით წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობი:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სერვისების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნანა შაშიაშვილი - საკონკურსო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნინო ჩაკვეტაძე;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნანა აბესაძე;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ნათია კობახიძე.

6. წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილმა საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს:

ა/. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოცემული აქტების, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;

ბ). კომისიის სხდომების ტექნიკურად მომზადება, კომისიის სხდომების ოქმებსა და გადაწყვეტილებების მომზადება;

გ). კომპეტენციის ფარგლებში კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრების ცალკეული დავალებების შესრულება;

დ). საკონკურსო კომისიაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვა.

7. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს (პ. ადამაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის ქ. ქუთაისის მერიის ოფიციალურ ვებ. გვერდზე Kutaisi.gov.ge ან/და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გამოქვეყნება.

8. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამარ დახუნდარიძემ.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ქალაქი ქუთაისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი